სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/96 16.12. 2019 წ.

ზამთრის სკოლის ორგანიზების შესახებ

აწსუ აკადემიური საბჭოს **№11 (17/18), 10.11.2017** დადგენილების შესაბამისად 2019-2020 სასწავლო წლის ზამთრის სკოლის საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ზამთრის სკოლის ფუნქციონირება განხორციელდეს 2020 წლის 27 იანვრიდან 2020 წლის 16 თებერვლის ჩათვლით და ნება დაერთოთ სტუდენტებს აითვისონ სასწავლო კურსები არა უმეტეს 2 კრედიტისა სასწავლო კვირის განმავლობაში. სტუდენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში.
2. სტუდენტთა განცხადებების მიღება განხორციელდეს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვის ცენტრში 2020 წლის 9 იანვრიდან 22 იანვრამდე.
3. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:

- სტუდენტთა განცხადებების და ზამთრის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე სასწავლო კურსების მიხედვით დააკომპლექტონ სასწავლო ჯგუფები და უზრუნველყონ ისინი სწავლების გრაფიკით, აკადემიური პერსონალით;
- უზრუნველყონ რომ თითეული სასწავლო კურსის სწავლება განხორციელდეს აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სილაბუსის შესაბამისი მოცულობით, სწავლისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით;
- ზამთრის სკოლაში ჩატარებული სასწავლო პროცესის შედეგები, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მონაცემები დროულად წარადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში.
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის /პროფ.იმერ ბასილაძე/ შესაბამისმა რგოლმა პრაქტიკულად შეუწყოს ხელი ზამთრის სკოლის სასწავლო პროცესის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებას.

5. ზამთრის სკოლაში სწავლის საფასურის გაანგარიშება მოხდეს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ წლისათვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად.

*მაგალითად, თუ სტუდენტს ასათვისებელი აქვს 5 კრედიტი და მოცემულ პროგრამაზე სწავლის საფასურია 2250 ლარი, ზამთრის სკოლაში სწავლის საფასური გამოიანგარიშება შემდეგნაირად: 2250/60*5=187,5 ლ. (სადაც 2250 არის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური, 60 - სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, 5 - სკოლის მსმენელის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა).*

6. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ძირითადი მენიუს პუნქტში „სწავლა“, ქვემენიუ: სასწავლო პროცესი.

რექტორი : პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სასმსახურის უფროსი : პროფ. იმერი ბასილაძე